დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

12.04.2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: მანანა

გვარი: ხაჩიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	დონე 6
4	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი ტელეკომუნიკაციაში
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	ელექტრონიკა და ავტომატიზაცია (0714)
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 0160, თბილისი, კოსტავას 75, მე-8 სასწავლო კორპუსი, მე-5 სართული
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 24.06.2021 № MES 7 21 0000687909

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 24 ივნისი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2021 წლის 24 დეკემბერი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 24 ივნისი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

I. რეკომენდირებულია გაძლიერდეს თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლება;

II. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
III. რეკომენდირებულია პროგრამის სწვალის შედგების გაწერა ცალკეული კონცენტრაციების მიხედვით მომქმედი კანონმდებლობის თანახმად;
IV. დაემატოს პროგრამას საგნები: დაპროგრამების მაღალი დონის რომელიმე ენა - C, C++, Java ან სხვა; ოპერაციული სისტემები; ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები; კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია;
V. დაემატოს ინგლისური ენის სწავლება, როგორც სავალდებულო კომპონენტი (მათ შორი ტექნიკური ინგლისური);
VI. შემუშავდეს სწავლის შედეგების რუკა ძირითადი დარგობრივი საგნების სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
VII. დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში;
VIII. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 22.06.2021 № MES 7 21 0000687909 გადაწყვეტილებით მიენიჭა 7 წლიანი აკრედიტაცია, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების 2021 წლის 24 დეკემბრმდე შესრულების წინაპირობით.

წარმოდგენილი მასალის თანახმად რეკომენდაციების შესრულებაში მონაწილეობდა პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები, რომლებიც სრულად იზიარებდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. შედეგად პროგრმაში განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორც კურიკულუმის აღწერაში, ასევე ცალკეულ სილბუსებში. კეროდ:

- სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა შრომის ბაზრის მოთხონების გათვალისწინებით, რამაც ასხვა ჰპოვა სწავლის შედეგების რუკაში;
- რიგ სილაბუსებში მოხდა შინაარსობრივი ცვლილება თანამედროვე თემების ჩანაცვდებით;
- პროგრმა გამდიდრდა თანმდეროვე ინფორმციული ტექნოლოგიების საგნებით;
- გაძლიერდა და სავალდებულო გახდა ინგლისური ენის სწავლება;

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

- მკაფიოდ დაიგეგმა პროგრამის ბიუჯეტი.

წარმოდგენილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №01–05–04/200 დადგენილება, პროგრამა მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ.

რჩევ(ებ)ი[8]

1. მოხდეს მსგავსი შინაარსის და შედეგების საგნების კომპაქტურად წარმოდგენა და საინფორმაციო და საკომუნიმაციო ტექნოლოგიების მიმართულების საგნების დამატება;
2. დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
3. უშუალოდ პროგრამაში განთავსდეს იმ ბმულების მისამართები, სადაც მოცემულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები საბაკალავრო საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ;
4. შემცირდეს არჩევითი საგნების ჯამური რაოდენობა;
5. განახლდეს სასწავლო მასალა (სახელმძღვანელოები);
6. სილაბუსებში ყოველი თემის შესაბამისად მიეთითოს სახელმძღვანელო და გვერდები;
7. სტუდენტთა პრაქტიკული უნარების უკეთ განვითარებისათვის სპეციალობის საგნებში სიმულაციური ლაბორატორიულების პარალელურად უნდა გამოინახოს საშუალებები თუნდაც რამოდენიმე საგნობრივი ექსპერიმენტის ჩასატარებლად რეალურ ობიექტებზე;
8. ყველა საგანში, რომელიც შეფასების კომპონენტად მოიცავს პროეტის შეფასებას, გაიწეროს პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები;
9. დაწესებულებამ/ფაკულტეტმა სასურველია უწყვეტ რეჟიმში აწარმოოს სტუდენტთა მიერ გაცვლით პროგრამებსა თუ ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებში/ პროექტებში ჩართულობის მონიტორინგი და ანალიზი (როგორც პროგრამის შედეგიანობის შეფასების ერთ-ერთი არაპირდაპირი მექანიზმი), მიღებული შედეგების საფუძველზე შეიმუშაოს ამ მაჩვენებელთა გაუმჯობესების ღონისძიებები;
10. სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება საკონსულტაციო განრიგის შესახებ ფაკულტეტის საინფორმაციო დაფების გამოყენების პარალელურად უნდა განხორციელდეს ელექტრონულადაც ფაკულტეტის ვებ-გვერდის https://gtu.ge/pet/Students/ მეშვეობით;
11. სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაინტერესებულ მხარეებს აცნობოს შესაბამისი გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენების გეგმა;
12. დარგში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, სტუდენტთა პრაქტიკული უნარების უკეთ განვითარების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია სასწავლო პროცესში დარგის მოქმედი სპეციალისტების ჩართვა მოწვეული პედაგოგის სტატუსით;
13. მეტი მუშაობაა საჭირო სასწავლო პროცესში ახალგაზრდა კადრების ჩასართავად, გასაძლიერებელია აგრეთვე პროგრამის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ინსტიტუციური განვითარების პროექტებში (Erasmus+, Tempus) ჩართულობა;

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

14. პროგრამაში მოცემულ შედეგებზე გასვლა და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად შეუძლებელია მოძველებული ლაბორატორიული სტენდების/მოწყობილობების განახლების გარეშე;
15. დამსაქმებელთა და სტუდენტთა შორის უწყვეტი ორმხირივი კავშირისა და ინფორმაციისდროული/სწრაფი მიმოცვლის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია შეიქმნასპორტფოლიოების (დამსაქმებელთა მოთხობნების გათვალისწინებით) ერთიანი ბაზა და დაიგეგმოს სხვა დამხმარე ღონისძიებები;
16. პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეცეთ თავისუფალი წვდომა უნივერსიტეტის მეცხრე კორპუსში განთავსებულ ლაბორატორიებზე, რომლებიც დაკომპლექტებულია National Instruments-ის თანამედროვე სასწავლო აპარატურით;
17. სასურველია მოხდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერა, ცალკეული სილაბუსების განახლებისათვის აუცილებელ ცვლილებათა დაუბრკოლებლად ასახვასთან დაკავშირებით;
18. სასურველია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის;
19. სასურველია მოხდეს საჭიროებაზე მორგებული კვლევებისა და გამოკითხვების დაგეგმვა-განხორციელება, ასევე სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა გამოკითხვებში მათი მონაწილეობის აუცილებლობასა და ანონიმურობის დაცვაზე;
20. სასურველია უზრუნველყოფილ იქნას გამოკითხვების შედეგების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირთათვის.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

რიგი რჩევები გათვალისწინებულია და ასახულია რეკომენდაციებით განსაზღვრული ქმედებების შედეგებში.

დამატებითი ინფორმაცია[10]

დამატებითი ინფორმაცია არაა წარმოდგენილი.

---

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდირებულია გაძლიერდეს თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლება;
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია** რიგ სასწავლო კურსებში დაემატა თანამედროვე თემები („ფიჭური მობილური კავშირის ქსელების აგების საფუძვლები“, „ბგერითი სიგნალების გადაცემის ტექნოლოგიები“ და „ტელეკომუნიკაციის სისტემები“).
რჩევა[15] I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“; • სასწავლო კურსის სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია II	რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია** უდს-ს მიერ წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე ჩანს, რომ ახლებურდაა ფორმულირებული სწვლის შედეგები, რომლებიც მოიცვენ იმ ცოდნას და უნარებს, რაც მნიშვნელოვანია თანმედროვე შრომითი ბაზრისთვის (უსადენო ტექნოლოგიების უახლესი თაობები, ოპტიკური

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	ქსელების ახალი ტექნოლოგიები, საგნების ინტერნეტი და სხვ.).
რჩევა II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ • სასწავლო კურსის სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია III	რეკომენდირებულია პროგრამის სწვალის შედგების გაწერა ცალკეული კონცენტრაციების მიხედვით მომქმედი კანონმდებლობის თანახმად;
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია** პროგრამა წარმოდგენილია 4 კონცენტრაციის სახით, რომლებიც განსხვვებული შინარსისაა და შესაბმისად დამტებით განსხვავებული შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. სწავლის შედეგების ახლებური რედაქცია, რომელიც წარმოდგენილია უდს-ს მიერ სრულად ასახავს ამ შედეგებს.
რჩევა II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ • სასწავლო კურსის სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია IV	დაემატოს პროგრამას საგნები: დაპროგრამების მაღალი დონის რომელიმე ენა - C, C++, Java ან სხვა; ოპერაციული სისტემები; ქსელური ტექნოლოგიები დაკომუნიკაციები; კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია;
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია**

	უდს-ს მიერ მოწოდებული მასლების მიხედვით მოხდა საინფორმაციო და საკომუნიმაციო ტექნოლოგიების მიმართულების საგნების დამატება/ჩანაცვლება, რომელიც მნიშვნელოვნია თანამედროვე ტელესკომუნიკაციო ტექნოლოგიებისთის და რომელთა ცოდნის აუცილებლობა აღნიშნული იყო დამსაქმებლების მიერაც. სულ დამატებულია 4 საგნი.
რჩევა II	
შეფასება	

მტკიცებულებ(ები)ა	• საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“
	• სილაბუსები:
	  ▪ დაპროგრამების საფუძვლები (C++ ენის ბაზაზე);
	  ▪ კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია;
	  ▪ კომპიუტერის ოპერაციული სისტემები;
	  ▪ ქსელური ტექნოლოგია და კომუნიკაცია.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია V	დაემატოს ინგლისური ენის სწავლება, როგორც სავალდებულო კომპონენტი (მათ შორის ტექნიკური ინგლისური).
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია** მასალებში წარმოდგენილია რომ პროგრამას დაემატა ინგლისური ენა, როგორც სავალდებულო კომპონენტი 10 კრედიტის მოცულობით. ინგლისური ენა გახდა სავალდებულო. პროგრამით პირველი ოთხი სემესტრის განმავლობაში სტუდენტები გაივლიან ინგლისური ენის კურსს, ჯამში 20 კრედიტის მოცულობით..
რჩევა II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ინგლისური ენის სილაბუსი • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული სატელეკომუნიკაციო

	ტექნოლოგიები“

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VI	შემუშავდეს სწავლის შედეგების რუკა მხოლოდ ძირითადი დარგობრივი საგნების სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია** წარმოდგენილ მასლებში, პროგრამაში მოცემულია სწვლის შედეგების რუკის მოდიფიცირებული ვერსია, რომელიც ეფუძნება ძირითადი სასწავლო კურსების სწაავლის შედეგს
რჩევა II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
რეკომენდაცია VII	დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში;
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია** წარმოდგენილი მასალები ასახავენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობებს - მათ მონაწილეობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. ასევე ინფორმაცისა სტუდენტების ჩართულობის შესახებ ევროკავშირის Erasmus+ პროგრამაში. უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ურთიერთ

	თანამშრომლების მემორანდუმები, ხელს შეუწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში.
რჩევა II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რეკომენდაცია VIII	რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია** უსდ-ს მიერ წრმოდგენილია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ ფინანსური მდგრადობის ანგარიში. ა ღწერილია პროგრამის ბიუჯეტი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ოთხივე წლის ფინანსურის მაჩვენებელით. აღნიშნული მასალა იძლევა პროგრამის ფინანსური მდგრადობის სრულ სურათს.
რჩევა II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამის ბიუჯეტი

თანდართული დოკუმენტაცია[16]

დანართი 1. აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების ოქმები - 2 ფურცელი

დანართი 2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები - 23 ფურცელი

[16] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა

დანართი 3. სასწავლო კურსის (პროგრამები) სილაბუსები - 79 ფურცელი

დანართი 4. დამსაქმებლებთან და ტელეკომუნიკაციის კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმები - 62 ფურცელი

დანართი 5. საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა - 4 ფურცელი

დანართი 6. დეტალური ბიუჯეტი - 4 ფურცელი



ექსპერტის ხელმოწერა